ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 717

27 დეკემბერი
"___" _____ 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №19-ში მდებარე 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.015.025) პირდაპირი განკარგვის წესით ქეთევან ქავზინაძისთვის (პ/ნ. 59001022626) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №19-ში მდებარე 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.14.11.015.025) პირდაპირი განკარგვის წესით ქეთევან ქავზინაძისთვის (პ/ნ 59001022626) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 25 დეკემბრის №24.2238.2502 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №19-ში მდებარე 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.015.025) პირდაპირი განკარგვის წესით ქეთევან ქავზინაძისთვის (პ/ნ. 59001022626) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის ფუნქციონირების მიზნით

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 576 (ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ტყემალაძე